ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 41/ღ840-22
„30" 06 2022 წ.

დადგენილება №002316/№002216
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

30.06.2022წ. ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზაზა კვიციანმა, განვიხილე 2022 წლის 18 მაისის №002316 მითითება და 2022 წლის 15 ივნისის №002216 შემოწმების აქტი შედგენილი, შ.პ.ს. "რესტორანი იმპერია"-ს (ს/ნ №202459678; დირექტორი - დავით ნამოევი; მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქ., №7 მ/ტ.) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, №111/ აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, №111ა-ში, ს/კ №01.13.02.008.187-ზე, შ.პ.ს. "რესტორანი იმპერია"-ს მიერ განხორციელდა საზოგადოებრივი კვების ობიექტის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5266604 16.02.2021წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. კერძოდ: ფასადებზე შეცვლილია ღიობების ნაწილის ნახატი, გაბარიტი, ფერი და მდებარეობა. შეცვლილია რელიეფის დონე და ტერიტორიის მოწყობა. „12-1" ფასადი: შენობის ძირში „4" ღერძთან მოწყობილია კარი. „1-9" ფასადი: შენობის ძირში შეცვლილია საფეხურების მოწყობა. „2-4" მონაკვეთში შეცვლილია დაბალი კედლების ფორმა. „5-9" მონაკვეთში შეცვლილია ბაქნის ფორმა და მოწყობილია პანდუსი. „9" ღერძის გარეთ ±0.00 ნიშნულის ზემოთ მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია. „ა-კ" ფასადი: „12-6" და ზ-კ" მონაკვეთებში +3.25 ნიშნულზე მოწყობილია თუნუქის ფურცელი. შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია კოლების მოწყობა და კიბეების კონფიგურაცია. -6.55 ნიშნულზე და ზემოთ შეცვლილია კედლების ნაწილის და ფილის ფორმა. „12-6" მონაკვეთში შეცვლილია სართულის სიმაღლე. -3.25 ნიშნულზე შეცვლილია კედლების კონფიგურაცია. -0.60 ნიშნულთან „5" ღერძთან მოწყობილია პანდუსი. +4.20 ნიშნულის ზემოთ შეცვლილია გადახურვების ნაწილის სიმაღლე. გადახურვის ძირში განთავსებული კონსტრუქციის მოწყობა არ შესაბამება საპროექტოს. შეცვლილია შემინული გადახურვის ფორმა.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2022 წლის 18 მაისს გაიცა №002316 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადა

დადგენილება განვიხილე ჩაბარებული ვრცელი სა 04.07.2022

ქ. თბილისი 0160. ქ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ობიექტის შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2022 წლის 15 ივნისს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა №002216 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2022 წლის 28 ივნისს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ მხარეს ეცნობა კანონით გათვალისწინებული წესით. სხდომაზე გამოცხადდა დირექტორი დავით ნამოევი (პ/ნ №01020005184), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და აღნიშნა, რომ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს შ.პ.ს. "რესტორანი იმპერია". მხარემ განმარტა, რომ ობიექტზე გამოვლენილი დარღვევები გამოსწორებულია, კერძოდ ასახულია კორექტირებულ პროექტში, რომელიც წარდგენილია სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შესათანხმებლად. მხარემ, ასევე აღნიშნა, რომ გამოვლენილი დარღვევები წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რამდენადაც აღნიშნულნი არ ახდენს გავლენას ობიექტის კონსტრუქციულ მდგრადობაზე და ხაზი გაუსვა, რომ ობიექტზე აპირებს რამდენიმე ასეული ადამიანის დასაქმებას და საჯარიმო სანქცია გაართულებს შენობა-ნაგებობის ჩაბარების პროცესს.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ 2022 წლის 30 ივნისს შედგენილი მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული ობიექტის კვლავ გადამოწმებისას არ იქნა შესრულებული 2022 წლის 18 ივნისის №002316 მითითებით განსაზღვრული მოთხოვნები, საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან **შ.პ.ს. "რესტორანი იმპერია"-ს** მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, №111/ აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, №111ა-ში, ს/კ №01.13.02.008.187-ზე, განხორციელდა საზოგადოებრივი კვების ობიექტის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5266604 16.02.2021წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 124-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 127-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

ა საქართველოს ბანკი
არდგენის თარიღი: 03.08.2022
ღების თარიღი: 03.08.2022

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

საგადახდო დავალება 14050701658

გადამხდელი	შპს რესტორანი იმპერია
გადამხდელის ანგარიში	GE60BG0000000230288400GEL
გადამხდელის ბანკი	სს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22
მიმღები	ქ. თბილისი
იმღების ანგარიში/სახაზინო კოდი	300773263
მიმღების ბანკი	სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
გადასახადის გადამხდელი	შპს რესტორანი იმპერია
საიდენტიფიკაციო/პირადი N	202459678
დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო საქმის ნომერი 41/დ840-22
დამატებითი ინფორმაცია	
თანხა	**10,000.00 GEL** ათი ათასი ლარი 00 თეთრი
საკომისიოს ანგარიში	GE60BG0000000230288400GEL
საკომისიო	7.00 GEL შვიდი ლარი 00 თეთრი

ეუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება მომდევნო ამუშაო დღეს განხორციელდება.

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA 3198 BAGAGE22

კლიენტი _____

ბანკი _____

-კონფიდენციალურ
-Confidenti